



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 4

ქ. ლანჩხუთი

27. 03. 2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება -მრეწველები“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიორგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ტაბიძის** განმარტებით, მხედველობაში იღებენ რეკომენდაციებს, რათა კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, მაქსიმალურად უსაფრთხო ზომების გათვალისწინებით ხელი არ შეეშალოს და შეუფერხებლად მიიღონ საჭირო გადაწყვეტილებები, რაც საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დღევანდელი გასვლითი სხდომა იმართება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სარგებლობაში არსებული ქ. ლანჩხუთის კულტურის სახლში, რათა კორონავირუსის გავრცელების რისკებთან დაკავშირებით დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების გათვალისწინებით დაცული იქნას სოციალური დისტანცია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მაძღობა გადაუხადა მთავრობას ოპერატიულად და მიზანმიმართულად მუშაობისთვის. ასევე, ექიმებს, პოლიციას, ჯარს და ყველა უწყებას, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ, რათა ფართო მასშტაბი არ მიიღოს ვირუსის გავრცელებამ და დაიცვან მოქალაქეების ჯანმრთელობა. მან იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში დამლეული იქნება პანდემია და ყველაფერი ჩადგება და დაუბრუნდება ჩვეულ რეჟიმს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მამუკა ვადაჭკორია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების - ვერა გაბელაიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლევან ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

8. სხვადასხვა საკითხები

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან განმარტა, რომ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის თანახმად, „შიდა აუდიტორს უფლება არა აქვს, დაწესებულებაში შეასრულოს სხვა ფუნქციები, გარდა ამ კანონით და მისგან გამომდინარე სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფუნქციებისა“; „შიდა აუდიტორი არ მონაწილეობს შიდა აუდიტორულ შემოწმებაში, თუ გამოვლინდა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა, კერძოდ, შიდა აუდიტორი შესამოწმებელ პერიოდში მუშაობდა შიდა აუდიტის ობიექტში“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მიზნით, იმისთვის რომ არ დაირღვეს სამსახურის დამოუკიდებლობისა და ობიექტურობის პრინციპი, მიზანშეწონილია „მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის“ და „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამის“ ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევის მიზნით შესაქმნელი კომისიების შემადგენლობიდან ამოღებული იქნას მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N8 (27.03.2020)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების - ვერა გაბელაიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებამ**. მან განმარტა, რომ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 3 ივნისის N4305 განცხადებით მომართა ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირმა - ვერა გაბელაიამ, რომელმაც აღნიშნულ განცხადებაში მის მიერ მოყვანილი მოტივების საფუძველზე, ითხოვა ლანჩუთის მუნიციპალიტეტსა (ს/კ 233730139) და ვერა გაბელაიას (პ/ნ 26001007997) შორის 2017 წლის 13 აპრილს გაფორმებული N1 იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლება, რომლის ოდენობა შეადგენს 1845 (ათას რვაას ორმოცდახუთი) ლარს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე

მუხლის პირველი ნაწილის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს საკითხი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირის, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებულ პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N17 (27.03.2020)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური ზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (შუხუთი, შენობა-ნაგებობა-ს/კ 27.05.44.009); (ქ.ლანჩხუთი, კვირკველიას ქუჩაზე მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.323); ((ქ.ლანჩხუთი, ჟორდანის ქუჩის მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.334) და ((ქ.ლანჩხუთი, ჟორდანის ქუჩის მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი-ს/კ 27.06.51.333) საკადასტრო კოდებზე არსებული უძრავი ქონება განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N18 (27.03.2020)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**. მან განმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად განსახილველად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, ლარის კურსიდან გამომდინარე როგორ იქნება არსებული ვითარება გათვალისწინებული სამშენებლო მასალების ფასების ზრდასთან მიმართებაში.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, ამ ეტაპისთვის არ შეინიშნება ფასების ისეთი ზრდა, რომ ამ კუთხით რაიმე შეიცვალოს. მატება არ აღემატება 10 %-ს. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი ლარის კურსი საგრძნობლად შეიცვლება და გაგრძელდება მისი გაუფასურება, შესაბამისად, სახელმწიფო მიიღებს საჭირო ზომებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** თავის მხრივ აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, სამშენებლო მასალებთან მიმართებაში არ არის რაიმე შესამჩნევი ფასმატება და თუ ამ კუთხით მოხდება სერიოზული ზრდა, ეს იქნება გათვალისწინებული და გატარდება სათანადო ღონისძიებები. რაც შეეხება ლარის კურსს, თუ სიტუაცია მოითხოვს, პროექტი გავა გამარტივებულ ტენდერზე და მეწარმეები, რომელთაც უღირთ, მიიღებენ მონაწილეობას და თუკი პროექტი ჩავარდება, ცხადი გახდება, რომ სხვა პრობლემასთან აქვთ საქმე. მან კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ფასებთან დაკავშირებით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან ერთად ეს საკითხი განიხილეს ყველა დონეზე. უახლესი მონაცემებით, სამეურნეო საქონელსა და სამშენებლო მასალებზე არ შეინიშნება ისეთი სერიოზული ზრდა, რომ ვერ შესრულდეს სოფლის პროგრამებით გათვალისწინებული პროექტები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ აცანაში იწყება გარე განათების დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლის გათვალისწინებით კარგი იქნება, მიახლოებით თუ დაზუსტდება, რა ფასები აქვს საჭირო მასალებს, რათა სამუშაოების შემსრულებელი არ ჩავარდეს უხერხულ მდგომარეობაში.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ არა ერთხელ დასვა საკითხი სოფელ ჭყონაგორის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სავალალო მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ამაოდ, ამ კუთხით არანაირი რეაგირება არ მომხდარა. მისი თქმით, ცუდ ამინდში სასაფლაოზე მიცვალებულს ვერ ასაფლავებენ, რაზეც ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატიც დაეთანხმება. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრი წარმოდგენილ საკითხს მხარს არ დაუჭირს.

ამასთან დაკავშირებით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**, მან განმარტა, რომ ჭყონაგორის მოსახლეობის მიერ გადაწყდა, თუ რომელი პროექტი უნდა გაკეთდეს სოფლის პროგრამის ფარგლებში, რაც შესაბამისად, დაფიქსირებულია სოფლის კრების ოქმში მოსახლეობის ხმების უმრავლესობით. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს სოფლის მოსახლეობის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (კახაბერ ასკურავა).

მიღებულ იქნა განკარგულება N19 (27.03.2020)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაძემ**. მან განმარტა, რომ ცვლილება განპირობებულია მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განსახორციელებლად.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1800000 ლარი, რომელიც მიიღარა 2019 წლის დაწყებული პროექტების დასასრულებლად. კერძოდ, ხიდების რეაბილიტაციაზე 1462502 ლარი და ნაპირსამაგრი სამუშაოების მოწყობაზე 337498 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სკოლების რეაბილიტაციაზე 520000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N2752 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოეყო 748000 ლარი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მომართვის საფუძველზე გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, რეგიონული ადგილობრივი განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი 309890 ლარი და აღნიშნული გრანტით დაფინანსდება ორი პროექტი. აქედან, ტურისტული მარშრუტების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისათვის 67040 ლარი, მათ შორის გრანტით ფინანსდება 59890 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 7150 ლარს. გრიგოლეთის განაშენიანების გეგმის შემუშავებისათვის 250000 ლარი.

ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების წერილის საფუძველზე შემცირდეს საქონელი და მომსახურების ხარჯი 500 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით.

ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 08) სოცუზრუნველყოფის მუხლის 693 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ამავე პროგრამის ტრანსპორტის ხარჯი 693 ლარით.

გარდა ამისა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ წარმოიქმნა გარკვეული ვალდებულებები, რომელთა გათვალისწინებით ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: მთავრობის განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 98000 ლარი, საიდანაც 75000 ლარი მიიმართება ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში ყოფილი ცენტრალური ტრასის ხუთკილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ, კერძოდ, საპროექტო სამუშაოების დასაფინანსებლად, ხოლო დანარჩენი თანხა მიიმართება საფეხბურთო აკადემიაში გარკვეული სამუშაოების შესასრულებლად. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 17000 ლარი უნდა მიიმართოს საფეხბურთო აკადემიის წყლის სისტემასა და გაზის ქსელში ჩართვისთვის.

გარდა ამისა, მერიის ადმინისტრაციული შენობის, ასევე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისა და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობის სანიტარული კვანძის აღდგენაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიმართება 28000 ლარი.

ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით (4 ცალი) სამფაზა მრიცხველის დამონტაჟება-4800 ლარი და სოფ. ჯურუყვეთის ამბულატორიის ქსელში ჩართვისთვის (მრიცხველი)-400 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი წარმოდგენილია არც თუ ისე დიდი მოცულობით. აქედან გამომდინარე, ითვალისწინებენ რა შექმნილ სიტუაციას, მიზანშეწონილად ჩაითვალოს მოძიებული იქნას თანხა, რათა სარეზერვო ფონდი გაიზარდოს დაახლოებით 20000-25000 ლარით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, თუ რომელ სკოლებს უტარდებათ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სამუშაოები ჩატარდება შემდეგ სკოლებში: შუხუთისა და სუფსის სკოლების გადახურვა, N2 საჯარო და ჩოჩხათის სკოლებში სველი წერტილების მოწესრიგება, ღრმაღელის სკოლაში ელექტროგაყვანილობის შეცვლა. მან ასევე აღნიშნა, რომ, აქვთ გასული წლის ეკონომია და როდესაც კვლავ დარჩება ეკონომია, მინიმუმ კიდევ ერთ სკოლას ჩაუტარდება რეაბილიტაცია. ძირითადად აქცენტი კეთდება სველი წერტილების მოწესრიგებაზე, რადგან პირველ რიგში, ყველა სკოლაში ეს საკითხი უნდა იყოს მოგვარებული.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე საკითხის განხილვისას ექნებათ დამატებითი ინფორმაცია და კონკრეტული ჩამონათვალი ობიექტებსა თუ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ უკვე მერამდენედ უხდება ასეთი შენიშვნის გამოთქმა, რადგან როცა პროექტის სახით წარმოდგენილია ხიდების რეაბილიტაცია ან გაბიონების გაკეთება, არ მიეწოდებათ ინფორმაცია, კონკრეტულად რომელი ხიდებია ან სად კეთდება ესა თუ ის გაბიონი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** თავის მხრივ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომისთვის მიეწოდოთ იმ ობიექტების ნუსხა, რომელთანაც დაკავშირებით ბიუჯეტში ხორციელდება ცვლილება.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდის ზრდასთან დაკავშირებით აბსოლიტურად ლოგიკური გადაწყვეტილებაა მიღებული, მაგრამ მისი თქმით, გასული წლის სარეზერვო ფონდი ისე გაიხარჯა, რომ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის მერს მოთხოვა აღნიშნული ფონდის ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი მოხვდა რამდენიმე მუნიციპალიტეტში, რომელთაც არ ითანამშრომლეს და არ მიაწოდეს აღნიშნული ინფორმაცია. ამასთან, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ დღეს შექმნილი სავალალო სიტუაციიდან გამომდინარე, როდესაც ეს საკითხი დადგება განსახილველად, სავარაუდოდ, მას მხარს დაუჭერს და იმედი გამოთქვა, რომ იმ თანხას, რაც წელს დაემატება, იგივე ბედი არ ეწევა, რაც გასული წლის სარეზერვო ფონდის ხარჯვით ნაწილს.

სარეზერვო ფონდის თემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობების გათვალისწინებით სარეზერვო ფონდი განისაზღვრება 30000 ლარის ოდენობით. რაც შეეხება გასული წლის სარეზერვო ფონდს, მან განმარტა, რომ აქედან დაახლოებით 11000 ლარი მიიმართა სოფელ ნიგვზიანში გზის რეაბილიტაციაზე. დარჩენილი თანხიდან კი ყოველი თეთრი, თითოეული საკრებულოს წევრის შუამდგომლობით, მოხმარდა გადაუდებელ ოპერაციებსა თუ გადაუდებელ დახმარებებს. ეს არის სრულიად გამჭვირვალე და სურვილის შემთხვევაში, ჩამონათვალის სახით შეუძლია წარმოადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ 2018-2019 წლებში სარეზერვო ფონდიდან თითოეული თეთრი რას მოხმარდა და თუკი ნახავენ, რომ მუნიციპალიტეტის მერმა რაიმე დახმარება არამიზნობრივად გასცა, ის აიღებს პასუხისმგებლობას. რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ფიქრობენ, რომ ის მოწყვლადი ჯგუფები, როგორცაა 70 წელს გადაცილებული მარტოხელა ადამიანები, მოამარაგონ საკვებით. ამ კუთხით უკვე მუშაობს შესაბამისი კომისიები.

მუნიციპალიტეტის მერი ასევე შეეხო არასამთავრო ორგანიზაციის თემას და კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველაფერი ხდება გამჭვირვალედ და არანაირი ინფორმაცია დასამალი ნამდვილად არ არის. კონკრეტულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან დაკავშირებით სავარაუდოდ, კანონთან მიმართებაში იყო რაიმე და იურიდიულად არ იყო მართებული.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N20 (27.03.2020)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**, მან განმარტა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად დამატებით განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, რა ხდება ომფარეთის გზასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერიის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მუშაობდნენ იმ კუთხით, რომ გაკეთებულიყო შუხუთი-აკეთის და აცანა-აკეთის გზა, მაგრამ ამ ეტაპისთვის რეგიონული განვითარების ფონდმა ჩასვა შუხუთი-აკეთის გზა. მუნიციპალიტეტმა დამატებით, საკუთარი ეკონომიებიდან მოიძია საპროექტო სამუშაოებისთვის თანხა 74000 ლარი, რომელითაც უნდა დაპროექტდეს როგორც სუფსიდან ორმეთამდე, ასევე სუფსა-წყალწმინდის მონაკვეთი. პროექტი იქნება გარდამავალი, მაგრამ არის ისეთი სიტუაცია, რომ წელსვე დასრულდება ორივე მიმართულება.

საკრებულოს წევრმა **კახა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ როგორც მისთვის ცნობილია, დასრულდა ქალაქის მოწესრიგებასთან დაკავშირებით პროექტის მომზადება და ტენდერიც გამოცხადებულია. აქედან გამომდინარე, აინტერესებს, როდის დაიწყება მისი განხორციელება, რაზეც მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა უპასუხა, რომ შესაბამისი სამუშაოები დღე-დღეზე დაიწყება.

საკრებულოს წევრი **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რა ხდება ქალაქში ცალმხრივად გაკეთებულ გაბიონთან დაკავშირებით და მოიაზრება თუ არა მეორე მხარესაც გაკეთება.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, პროექტი მომზადებულია და ელოდებიან დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის მერიის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, აღნიშნული პროექტი დაფინანსდება სტიქიის სალიკვიდაციოდ მიმართული თანხებიდან, რადგან ყველა ნაპირსამაგრი სამუშაოები უნდა შესრულდეს ამ კუთხით გამოყოფილი ფინანსებიდან. გარდა ამისა, მან მოინახულა რესტორან „ბაბუნა“-ს მიმდებარე ტერიტორია. პროექტები უკვე მომზადდა და გადაიგზავნა. არის შეთანხმება, რომ თანხების გამოყოფა მოხდება ეტაპობრივად. მუნიციპალიტეტის მერმა ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ახალ პროექტებზე მუშაობა შეჩერებულია, მაგრამ უკვე მზა პროექტების მიწოდება, შესაბამისად, გაგრძელდება. ახლახან დასრულდა სოფლის პროგრამებით გათვალისწინებულ პროექტებზე მუშაობა და თავისთავად, გაგრძელდება სტიქიის კუთხით პროექტების მომზადება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის **ემზარ თევდორაძის** აზრით, პროექტები რომ მზად იყოს, ხომ შეიძლება, რადგან ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, უფრო უკეთესი იქნება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 28 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N21 (27.03.2020)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის შესაბამისად, „მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისთვის საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან, ამ კანონის ამოქმედებისთანავე ჩაითვალონ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად“.

ასევე, ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის (მერის წარმომადგენელი და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული სხვა პირი) თანამდებობრივი სარგო აისახება შესაბამისი საჯარო დაწესებულების სამტატო ნუსხაში.

საკრებულოს წევრის, **ამირან გიგინეიშვილის** თქმით, გამოდის, რომ ეს ადამიანები აღარ ჩაითვლებიან საჯარო მოხელეებად და ნებისმიერ დროს შეიძლება მათი სამსახურიდან გაშვება.

მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) **ელიკო იმნაძემ** განმარტა, რომ ამ კატეგორიის ადამიანები დასაქმდებიან მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადით, თუმცა ხელშეკრულებაში ჩადებულია პირობები, რომლითაც თუკი დასაქმებული მოინდომებს, შეუძლია შეწყვიტოს ცალმხრივად ხელშეკრულება.

საკრებულოს წევრმა **კახაბერ ასკურავამ** პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ იმ პირებმა, რომლებიც დღეს ითვლებიან საჯარო მოხელეებად, მაგრამ ხვალ შეიძლება აღარ იყვნენ, საჯარო სამსახურის ბიუროში უნდა გადააგზავნონ ყველა

საბანკო ვალდებულებებისა და ოჯახის წევრის პენსიის შესახებ ამონაწერები და კიდევ ბევრისხვა დოკუმენტი. დეპუტატის თქმით, შეიცვალა კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, თუკი ასეთი მონაცემები დროულად არ იქნება მიწოდებული, პიროვნება 1000 ლარით დაჯარიმდება. ამასთან დაკავშირებით, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა განმარტა, რომ საკრებულოს წევრი საუბრობს იმ საჯარო მოხელეების შესახებ, რომლებიც ავსებენ ქონებრივ დეკლარაციას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (ამირან გიგინეიშვილი).

მიღებულ იქნა განკარგულება N22 (27.03.2020)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ აცანის სკოლაში სასმელი წყალი არ ვარგა და სავარაუდოდ, გამონაკლისი მუნიციპალიტეტის არც სხვა სკოლები იქნება. დეპუტატი დაინტერესდა, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით გათვალისწინებულია თუ არა რაიმე ღონისძიებების გატარება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, მოსაწვევია შესაბამისი სპეციალისტები, რათა ეს მდგომარეობა გამოსწორდეს.

საკრებულოს წევრმა **ირაკლი მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობისადმი გაიცა დაპირება, რომ რამდენიმე სახის პროდუქტზე ფასები არ გაიზრდებოდა და დარჩებოდა 10-11 მარტის ნიშნულზე, მაგრამ მოსახლეობის ინფორმაციით, მუნიციპალიტეტში 21 მარტს თუ პატარა ტომარა პურის ფქვილი ღირდა 30-31 ლარი, დღეს ღირს 35-36 ლარი. დეპუტატის თქმით, კოლეგასთან ერთად ეს ინფორმაცია მაღაზიებში გადაამოწმა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერია ცენტრალურ ფასებს ვერ გააკონტროლებს, მაგრამ თუკი ადგილობრივად ხდება მატება, ამაზე ექნებათ შესაბამისი რეაგირება. პირადად, საკრებულოს

თავმჯდომარესთან ერთად არაერთხელ იყო გასული მაღაზიებსა და საწყობებში. გარდა ამისა, მოწვეული ყავდა და შეხვდა ადგილობრივ მეწარმეებს, რომელთაც მიეცათ მითითება, რომ თუკი ხელოვნურად მოხდება ფასების ზრდა, აუცილებლად იქნება შესაბამისი ზომები მიღებული. რაც შეეხება იმ პროდუქტებს, რომელთა მიმართებაში არ გაიზრდება ფასები, სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით გამოიყო შესაბამისი თანხები და ხორციელდება სათანადო რეგულაციები.

საკრებულოს წევრმა **ამირან ქანთარია** აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, 10 კაცზე მეტის თავშეყრა აკრძალულია. მისი აზრით, თუკი ასეთ თავყრილობას საკრებულოს წევრები თავიანთ საახლობლოში ან უბანში დააფიქსირებენ, იმის მაგიერ, რომ ამის შესახებ აცნობონ პოლიციას და დააჯარიმდეს ეს პირები, უმჯობესია, დეპუტატები შეეცადონ, რათა თავიანთი ავტორიტეტის გამოყენებით და დიპლომატიური ურთიერთობით დაშალონ ასეთი შეკრებები.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილი** აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილია ისეთი სიტუაცია, რომელიც ყველასთვის საფრთხის შემცველია. საკრებულოს თითოეულ წევრს მართლაც აქვს ავტორიტეტი ახლობლებსა თუ უბანში. ამიტომ, ყოველი მათგანის ვალია, ესაუბროს ასეთი თავყრილობების დროს ადამიანებს, რათა ისევ მათივე უსაფრთხოებისთვის, დაიცვან მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები. მუნიციპალიტეტში 64 ადამიანი იმყოფებოდა თვითიზოლაციაში, აქედან სამი გადაყვანილია კარანტინში. 16 ადამიანმა დაასრულა თვითიზოლაცია და დარჩენილია 48 პირი. მუნიციპალიტეტის მერის თქმით, თუკი ეს ადამიანები დაარღვევენ თვითიზოლაციის წესებს, უნდა მიმართონ პოლიციას ანდა მიიღონ სათანადო ზომები. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ თავის დროზე ადმინისტრაციულ ერთეულებში მაქორიტარ დეპუტატებსა და მერის წარმომადგენლებს მიეცათ დავალება, დაელოთ ოჯახებში და დაერეგულირებინათ ასეთი სიტუაციები, ასევე, მოსახლეობისთვის მიეწოდებინათ სათანადო ინფორმაცია ყველა რეკომენდაციის შესახებ და ეთხოვათ მათი დაცვა, რადგან შექმნილი ვითარება ყოველი მათგანისთვის საფრთხის შემცველია. თუკი რომელიმე პირი არ დაემორჩილება და დაარღვევს მითითებულ წესს, რა თქმა უნდა, დაჯარიმდება და საჭიროების შემთხვევაში-შესაბამისი პასუხიც მოეთხოვება, რადგან თითოეული ადამიანის ვალია, მაქსიმალურად გაუფრთხილდეს ერთმანეთის სიცოცხლეს.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ საქართველოზე გაცილებით მაღალი კულტურის ქვეყნებს გაუჭირდათ ამ პრობლემის გათვითცნობიერება და დღეს თუ ვინმე ამას ვერ ხვდება, ვერც მოთხოვენ, რადგან ამის გათვითცნობიერება არის ძალიან რთული. დეპუტატი თავის მხრივ ეთანხმება კოლეგას პოლიციაში დარეკვასთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც ესმის, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, არასამოქალაქო დამოკიდებულება რომელიმე მათგანს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს, ამიტომ „ოქროს შუალებია“ საპოვნელი.


მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილი** აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, საკრებულოს წევრებს ინფორმაცია არ მიეწოდა სწორად, როგორც საჭირო იყო, მაგრამ

თუკი მსგავს შემთხვევებში მათი ავტორიტეტი არ გაჭრის და მოქალაქეები არ დაუჯერებენ, მაშინ რეაგირება უნდა იყოს შესაბამისი და დასჯადი.

ამით საკრებულოს გავლენითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke, positioned over the text of the official title.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

27 მარტი 2020 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10:58	
2	ვლადიმერ ნანაძე	10:55	
3	ვერიკო კვიციანი	10:50	
4	ალექსანდრე მახათაძე	10:25	
5	გიორგი ჩახვაძე	10:55	
6	გიორგი გვარჯალაძე	10:58	
7	ემზარ თევდორაძე	11:00	
8	ბესიკ კუპრაძე	10:58	
9	გოგი მორჩილაძე	10:55	
10	სპარტაკ კვაჭაძე	10:50	
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	11:00	
13	კახა ბოლქვაძე	10:55	
14	ციცინო ჩხაიძე	10:59	
15	კარლო კვიციანი	10:55	
16	ზურაბ კუკულავა	10:55	
17	ოსებ ჩხაიძე	10:55	
18	ოთარ პატიეშვილი	10:55	
19	ელისო ჭიჭინაძე	10:50	
20	ამირან ქანთარია	10:58	
21	დავით ჩხარტიშვილი		
22	აკაკი იმნაიშვილი		
23	ზაალ სანაძე	10:55	

24	რევაზ კვერენჩილაძე	1058	ს. მ. მ. მ.
25	კახაბერ ასკურავა	1055	ს. მ. მ.
26	ამირან გიგინეიშვილი	1052	ს. მ. მ.
27	ირაკლი მარშანიშვილი	1050	ს. მ. მ.
28	ცისანა ურუშაძე	1050	ს. მ. მ.
29	გოდერძი ქურიძე		
30	კახა თედორაძე	1051	ს. მ. მ.
31	რეზო კვაჭაძე	1051	ს. მ. მ.
32	ვენე კვიციანი	1050	ს. მ. მ.